


საქართველო  
ქ. თბილისი  
შ.პ.ს. «კონექსი»



GEORGIA  
TBILISI  
«KONEXI» LTD

204907501, მინდელის ქ. №3 ტ. 53-76-98

204907501, MINDELI str. №3 P. 253-76-98

E-mail [konex\\_ge@mail.ru](mailto:konex_ge@mail.ru)

## დასკვნა


ქ. თბილისში, სანდრო ეშლის ქ. №3-ში მდებარე სსიპ “იუსტიციის  
სასწავლო ცენტრი“-ს შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე

თბილისი  
2013

## დასკვნა

### ქ. თბილისში, სანდრო ეულის ქ. №3-ში მდებარე სსიპ “იუსტიციის სასწავლო ცენტრი“-ს შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „კონექსი“-ს მიერ შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, სანდრო ეულის №3-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა, მისი რეკონსტრუქციის შემდგომ უსაფრხო ექსლუატაციის შესაძლებლობის დადგენის მიზნით. დამკვეთის ინფორმაციით რეკონსტრუქცია შეეხება მხოლოდ შიგა გეგმარებით და ფასადის ცვლილებებს.



სურ.1 შენობის განლაგების გეგმა.



ფოტო 1. შენობის აღმოსავლეთ ფასადი

შენობა განლაგებულია ჯიქიას ქუჩის ღონიდან დაახლოებით 3.5 მეტრით ქვევით. მისი აღმოსავლეთ ფასადის წინა ტერიტორია ქუჩიდან გამოყოფილია ბეტონის საყრდენი კედელი.

შენობა სამ სართულიანია, იგი შედგება ორი ბლოკისგან, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არიან ტემპერატურული და იმავდროულად ანტისეისმური ნაკერით. ორივე ბლოკი იდენტურია. შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა გაბარიტული ზომებით 72.0X12.0 მეტრი. კიბის უჯრედები განლაგებულია განივი გორსული მხარის პირველ მალეებში.

შენობა კარკასული ტიპისაა და განხორციელებულია III-20 ტიპური სერიის ანაკრები ელემენტებით. აღნიშნული ტიპური სერია გამოიყენებოდა სამრეწველო ნაგებობებში. შენობის ერთი ბლოკი განივი მიმართულებით ორ მალიანია, ზომებით 6.0+6.0 მეტრი, ხოლო გრძივი მიმართულებით ექვს მალიანი, ზომებით 6.0+6.0+6.0+6.0+6.0 მეტრი. სართულშუა გადახურვის ღრუგანიანი ფილები განლაგებულია განივი ჩარჩოების რიგელებზე, განივი კვეთით 40.00X50.00(h). გრძივი მიმართულებით ჩარჩოები იქმნება 25 სმ სიმაღლის შემკრავი რიგელებით. სვეტებს, განივი კვეთით 40.00X60.00 სანტიმეტრი, გააჩნიათ ვუტები, რომლებზედაც დაყრდნობილია მზიდი რიგელები. გარე და შიდა კედლები განხორციელებულია ცემენტის დუღაბზე სილიკატური აგურის წყობით.




ფოტო 2. რკინაბეტონის ანაკრები სვეტები, რიგელები და გადახურვის ღრუგანიანი ფილები.

შენობა უკანა ფასადის მხრიდან 4.30-4.50 მეტრზე დაფარულია მიწით. რის გამოც ამავე ფასადის გასწვრივ მდებარე სვეტების განივი კვეთი პირველ სართულზე განსხვავებულია და არის 40.0X80.0 სანტიმეტრი. ხოლო უკანა ფასადის მხარეს პერიმეტრის კედელი განხორციელებულია რკინაბეტონის ფილებით. (იხ. ფოტო 3)



ფოტო 3 უკანა ფასადის კედელი, შიდა მხრიდან პირველი სართულის ღონებზე

კიბის მარშები მოწყობილია ლითონის ჩანებით, რომლებზეც დალაგებულია ანაკრები საფეხურები (იხ. ფოტო 4). შენობა მარცხენა გორეცის მხრიდან, მეორე სართულის იაგაკის გადახურვის ღონებზე, რკინაბეტონის მონოლითური ფილით დაკავშირებულია ჯიქიას ქუჩის პირზე მოწყობილ საყრდენ კველთან (იხ. ფოტო 5).



ფოტო 4 კიბის მარში ლითონის ჩანებზე



ფოტო.5

შენობა დაპროექტდა გასული საუკუნის მოქმედი მშენებლობის ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად. შენობა გაანგარიშებულია 7 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე 1981 წლიდან მოქმედი სეისმური ნორმების მოთხოვნების გათვალისწინებით. საანგარიშო სქემად მიღებული იყო განივი და გრძივი მიმართულებით ცალცალკედ მომუშავე ბრტყელი ჩარჩოვანი სისტემები. გაანგარიშების შედეგებიდან გამომდინარეა დაკონსტრუირებული მზიდი ელემენტები.

შენობის მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევებით დადგინდა, რომ:

1. შენობის რკინაბეტონის ანაკრები მზიდი ელემენტები დამონტაჟებულია დამაკმაყოფილებლად. არ შეინიშნება სვეტების ვერტიკალურობიდან გადახრა, კვანძები შესრულებულია კარგ ღონეზე;
2. შენობას არა გააჩნია ისეთი სახის დაზიანება, რომელიც შეამცირებდა მის მზიდუნარიანობას;
3. დასავლეთი ფასადის გრძივი კედელი, რომელიც მიწაშია დასველებულია. შენობის მომსახურე ტექნიკური პერსონალის ინფორმაციით ინტენსიური აგმოსფერული ნალექების შედეგად კედელში გამოედინება წყალი.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შიძლება დავასკვათ:

1. შესაძლებელია შენობის მზიდი ელემენტების შემდგომი გამოყენება, გარე და შიგა კედლებისა (გარდა კიბის უჯრედის შემომფარგვლელი კედლებისა) და გიხრების დემონტაჟი და ახლით შეცვლა;
2. უცილებელია დასავლეთ ფასადის მხარეს განხორციელდეს აგმოსფერული ნალექების ორგანიზებული მოხილების ღონისძიებები;
3. დეკომენდირებულია სახურავის არსებული ბურჯის მოხსნა და ახლით შეცვლა თანამედრობე თბო და ჰიდრო საიზოლაციო მასალების გამოყენებით.

კონსტრუქტორი

მთ. ინჟინერი



ი. კიკნაძე

კ. ოდიშელი